არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების მონიტორინგის განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპები

შესავალი

სასამართლო სხდომების მონიტორინგი წარმოადგენს სასამართლო რეფორმის მნიშვნელოვან იარაღს, რაც ხელს უწყობს სამართლიანი სასამართლოს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი გარანტიების დაცვას. დამოუკიდებელ მონიტორინგს შეუძლია მოახდინოს სასამართლო სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და წარმოადგინოს რეკომენდაციები უკეთესი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასების სისტემა შესაძლებლობას იძლევა დაიგეგმოს რესურსების მიზნობრივი გამოყენება და შემუშავდეს და დაიხვეწოს ახალი ინიციატივები.

„გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია“ ასევე განსაზღვრავს, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა საპროცესო უფლებებს, რომელიც დაცული უნდა იყო სისხლის სამართალწამოების პროცესში. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, ასევე აყალიბებს ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება მართლმსაჯულების სფეროში საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. პირადი ცხოვრების პატივისცემის მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში, რომ როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის სავარაუდოდ ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს მიღმა, რაც ბავშვთა დაცვის ზემოთ აღნიშნული პრინციპებიდან გამომდინარეობს.

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა ახალი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ხაზს უსვამს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიც არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი. - „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“. ამავე კოდექსით განსაზღვრულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ პირთა ძირითადი საპროცესო უფლებები, რომელიც სრულ შესაბამისობაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

არასრულწლოვანთა კოდექსი ასევე ხაზს უსვამს ბავშთა პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპებს, სადაც აღნიშნულია, რომ დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ზუსტად აღნიშნული პრინციპის დაცვის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ასახულია

ნორმა, სასამართლო სხდომების დახურულ კარს მიღმა განხილვასთან დაკავშირებით - „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება“.

არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომების მონიტორინგის მექანიზმის შექმნა შესაძლებელია ისე, რომ დაცული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორიც არის - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული საპროცესო და სხვა სახის უფლებები სისხლის სამართალწარმოების პროცესში და სისხლის სამართლის პოლიტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დაეფუძნოს ხარისხის კონტროლის ეფექტიან სისტემას.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ი ნტერესების დაცვის ხარისხის შეფასების მიზნით, არასრულწლოვანთა სასამართლო განხილვაზე შესაძლოა განხორციელდეს მონიტორინგი.
2. არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი) წარმოადგენს ინსტრუმენტს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მხარეებს შეაფასონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა.
3. მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბების მიზანია, შეფასდეს რამდენად არის უზრუნველყოფილი კანონთან კონფლიქტში მყოფ, მოწმე და დაზარალებულ არასრულწლოვანთა სამართლიანი სასამართლოს უფლება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში.

მუხლი 2. სასამართლო სხდომების მონიტორინგის ფორმები

1. მონიტორინგი შესაძლოა იყოს სისტემური ან თემატურ საკითხებზე ორიენტირებული.
2. სისტემური მონიტორინგი გულისხმობს ხანგრძლივ ვადიან მონიტორინგს, რაც მიზნად ისახავს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა მიმართულების შეფასებას. სისტემური მონიტორინგის შედეგად შესაძლოა განხორციელდეს არამარტო სასამართლო სხდომებზე დაკვირვება, არამედ შეფასდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის სხვადასხვა ეტაპები (დაკავება/სისხლის სამართლებრივი დევნა, გამოძიება).
3. თემატური მონიტორინგის დროს შესაძლებელია აქცენტი გაკეთდეს ერთ ან რამდენიმე მიმართულებაზე, კერძოდ:

ა) სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება/დაკავება;

ბ) გამოძიება;
გ) პირველადი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთი ღონისძიებები;
დ) წინასასამართლო სხდომა;
ე) საპროცესო შეთანხმება;
ვ) საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში;
ზ) აპელაცია;
თ) კასაცია.

4. თემატური მონიტორინგის დროს შესაძლებელია აქცენტი კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე, კერძოდ, კანონთან კონლიქტში მყოფი არასრულწლოვნები; დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნები; რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები; უცხო ქვეყნის მოქალაქეები და სხვა სახის მოწყვლადი ჯგუფები.

მუხლი 3. სასამართლოს სხდომების მონიტორინგის ეტაპები

1. მონიტორინგის განხორციელება მოიცავს შემდეგი სახის ეტაპებს: მონიტორინგის განხორციელების ნებართვის მოპოვება, საქმეების იდენტიფიცირება, ინფორმაციის შეგროვება, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, ანგარიშის მომზადება და წარდგენა.

მუხლი 4. მონიტორინგის განხორციელების ნებართვა

1. არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომაზე მონიტორინგის განხორციელების თაობის უფლებამოსილება, კანონმდებლობის თანახმად გააჩნია საქართველოს სახალხო დამცველს მისი უფლებამოსილების ფარგლებში.
2. არასრულწლოვანთა სასამართლოს სხდომაზე მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ სახალხო დამცველის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.
3. მონიტორინგი შესაძლოა განახორციელონ ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, დამოუკიდებელმა აკადემიურმა ინსტიტუტებმა და საინიციატივო ჯგუფებმა (შემდგომში - მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტები), ამ წესით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 5. ინფორმაციის შეგროვება

ინფორმაციის შეგროვება, როგორც წესი, გულისხმობს სასამართლო სხდომებზე დაკვირვებას ინფორმაციის შეგროვების მიზნით. თუმცა აღნიშნული პროცესი შესაძლოა დამატებით შეფასდეს სხვა წყაროების მეშვეობით, კერძოდ:
ა) სისხლის სამართლის საქმის მასალები გაცნობა;
ბ) სასამართლო სხდომის ოქმები;
დ) ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარებთან (მოსამართლე, პროკურორი, დამცველი, ბრალდებული) და სხვა დაიტერესებულ პირებთან (დაზარალებული/მოწმე არასრულწლოვნები; სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები; ამ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები; დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა).

მუხლი 6. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი

შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი, მოიცავს რამდენიმე ეტაპს:
ა) პრობლემების იდენტიფიცირება. მონიტორინგის განხორციელების მთავარი ამოცანაა, იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად არსებობს პრობლემები მართლმსაჯულების სისტემაში და დადებით შემთხვევაში რა გამოწვევები იკვეთება ამ მიმართულებით. გარდა ამისა, უნდა მოხდეს ასევე იმის შეფასება თუ რა სახის დადებითი დინამიკაა აღნიშნულ პროცესში.
ბ) პრობლემების დადასტურება/დოკუმენტირება. მონიტორინგის ანგარიში უნდა ეფუძნებოდეს არგუმენტირებულ ფაქტებს და სამართლებრივ განმარტებებს. ამის შეფასების მიზნით, სასურველია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის მეთოდები, რათა უზრუნველყოფილ იქნა მიგნებებისა და დასკვნების სანდოობა, გადაამოწმდეს მოპოვებული ფაქტები და სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც იყო გამოყენებული.
გ) პრობლემების საფუძვლების იდენტიფიცირება. შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ მითითებას პრობლემებზე, არამედ უნდა აანალიზებდეს იმ მიზეზებს თუ რამ განაპირობა გამოვლენილი ხარვეზების არსებობა. ამ მიზნით, ანგარიშში უნდა იყოს წარმოდგენილი რეკომენდაციები, თუ როგორ არის შესაძლებელი აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავება.

მუხლი 7. მონიტორინგის ანგარიშის მომზადება

1. მონიტორინგის ანგარიშის მომზადებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც გამოწვევებზე, ასევე პოზიტიურ დინამიკაზე რაც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა. ანგარიში უნდა მოცავდეს ტენდენციებს, ძირითად მიგნებებს და რეკომენდაციებს, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართული არასრულწლოვნის საპროცესო უფლებების დაცვასთან, ასევე ინფორმაციას იმ გარემოს შესახებ, რა პირობებშიც იმართებოდა სასამართლო განხილვები.
2. მონიტორინგის ანგარიშში უნდა მოხდეს მითითება იმ მეთოდოლოგიაზე და ინსტრუმენტებზე, რისი გამოყენებითან მოხდა მონიტორინგის განხორციელება.
3. მონიტორინგის ანგარიშის მომზადებისას უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლოა შეეხოს სისხლის სამართლის პროცესში ჩართულ მხარეებს/პირებს (მოსამართლე; პროკურორი; დამცველი; საპროცესო წარმომადგენელი; ფსიქოლოგი; ექსპერტი) და უწყებებს (იუსტიციის უმაღლესი საბჭო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; გენერალური პროკურატურა; იურიდიული დახმარების სამსახური; ადვოკატთა ასოციაცია; სოციალური მომსახურეობის სააგენტო).
4. მონიტორინგის ანგარიშში კონკრეტული გარემოებების აღწერისას, აუცილებლად უნდა მიეთითოს შესაბამის წყარო, რა გზითაც მოხდა ამ ინფორმაციის დამუშავება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პროცესის მიმდინარეობისას, გამოთქმული ციტატების აღნიშვნა, რომელიც მოსამართლის, პროკურორის, დამცველის ან პროცესში მონაწილე სხვა პირების მხრიდან იქნა დამოთქმული.
5. მონიტორინგის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია სასამართლოს სხდომის დარბაზში არსებული გარემოს, მათ შორის ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის შესახებ.
6. მონიტორინგის ანგარიშში დაუშვებელია ისეთი სახის ინფორმაციის (ბავშვის პირადი მონაცემები; ინფორმაცია ოჯახის წევრების შესახებ; სახელები, მისამართები და სხვა) ასახვა,

რაც პირადაპირი ან არაპირდაპირი სახით სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ბავშვის ვინაობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა.

7. სასამართლოს სხდომების მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგების ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა პირის მიერ.

მუხლი 8. პერსონალური მონაცემების დაცვა

1. მონიტორინგის განხორციელების პროცესში უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართული არასრულწლოვნების პერსონალური მონაცემების დაცვა.
2. მონიტორინგის პროცესში ჩართული მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტები და მონიტორები ვალდებულნი არიან დაიცვან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემები, როგორც მონიტორინგის განხორციელებისას, ასევე ანგარიშის მომზადებისას და მესამე პირებთან ურთიერთობის პროცესში.
3. მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტების და მონიტორების მხრიდან პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, მათ შესაძლოა შეუწყდეთ მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება.
4. მონიტორინგის განმახორციელებელი სუბიექტები და მონიტორები ვალდებულნი არიან დაიცვან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემები მონიტორინგის დასრულების და ანგარიშის მომზადების შემდეგაც.

მუხლი 9. მონიტორინგის პროცესში შესაფასებელი საკითხები და მონიტორინგის ინსტრუმენტები

1. მონიტორინგის განხორციელების პროცესში ფასდება რამდენად არის დაცული სისხლის სამართლის პროცესში ჩართული არასრულწლოვნების ადგილობრივი კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გარანტირებული საპროცესო უფლებები;

2. მონიტორინგის განხორციელების პროცესში ასევე ფასდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ბავშვზე მორგებული გარემო და რამდენად არის ორიენტირებული მართლმსაჯულების სისტემა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

3. სასამართლოში მონიტორინგი შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ეტაპებზე (პირველადი წარდგენა, აღკვეთი ღონისძიების შერჩევა; წინასასამართლო სხდომა; საპროცესო შეთანხმების სხდომა; საქმის არსებით განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, აპელაცია, კასაცია) და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე (კანონთან კონფლიქტში მყოფი და მოწმე/დაზარალებული არასრულწლოვნები).